სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
ხელშეკრულება №61

05 12 2012წ.

დაბა ხელვაჩაური

ერთის მხრივ *ა(ა)იპ ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანება* (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი *დირექტორის ინგა ხინიკაძის* სახით და მეორეს მხრივ *შპს „ნიკა"* (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმომადგენელი მისი დირექტორი ავთანდილ ხარაძეს სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონის საფუძველზე (კლასიფიკატორის კოდი 44100000) დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. *ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ა(ა)იპ ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანებაში არსებული განთიადის ს. ბაღში მეტალო პლასტმასის ვიტრაჟის (კედელი) გაკეთება და გათბობის აპარატის ელექტრო მატორის შესყიდვა/მონტაჟი.*

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 3500 (სამი ათას ხუთასი) ლარი

2.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

2.3. მოსაწოდებელი საქონლისა და მომსახურების სახეობა, რაოდენობა და ერთეულის ფასი განისაზღვრება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვაში, რომელიც ხელშეკრულებას თან ართავს როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.3 ანგარიშწორების განხორციელდება შესაძლებელია ეტაპობრივად შესრულებული სამუშაოს შესაბამისად მოწოდებული საგადასახადო დოკუმენტაციისა და მიღება-ჩაბარების (ფორმა №2) აქტის გაფორმების შემდეგ.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1 საქონელი (მომსახურება) ან მისი ნაწილი შესრულებულად ჩაითვლება შესაბამისი „მიღება-ჩაბარების" აქტის გაფორმების შემდეგ.

4.2 მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირები, რომლებიც აფორმებენ შესაბამის აქტს ხარისხისა და რაოდენობის მიხედვით.

4.3 მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე შემსყიდველი ახდენს საბოლოო ანგარიშსწორებას მიმწოდებლისაგან შესრულებულ სამუშაოზე.

4.4 საქონელი ან მისი ნაწილის მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

4.5 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები, წუნდების მიზეზის მითითებით.

5. საქონლის/მომსახურების მიწოდების ადგილი და ვადა

5.1. საქონლის/მომსახურების მიწოდების ადგილად განისაზღვრება *ა(ა)იპ ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანებაში არსებული განთიადის* სბაღი

5.2. საქონლის/მომსახურების მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) საქონლის მოწოდების დასრულებამდე გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან მისთვის საჭირო დოკუმენტი.

44838257

6.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ მოწოდებული საქონლის/მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს *არაპ ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანება.*

7.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე მოწოდებული სააქონლის/მომსახურების ხარისხის კონტროლს.

7.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

8.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

8.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

9.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაშიმეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

9.5. მხარე ვალდებულია 9.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

9.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დაუძლეველი ძალა

10.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

44838257

10.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს *2012 წლის 31 დეკემბრის* ჩათვლით.

13. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი"

ა(ა)იპ ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანება
ტელ: 855120537

მის: დ. ხელვაჩაური, აღმაშენებლის ქ. №21
საბანკო რეკვიზიტები:

ს.ს. „ლიბერთი ბანკის"
ხელვაჩაურის ფილიალი,
ს.კ. 448382571
ბ/კ: LBRTGE22
ა/ა №GE28LBO115183419757000

ინგა ხინკაძე

(ხელმოწერა)

„მიმწოდებელი"

შპს ნიკა"

ტელ: 577 15 18 00

მის: ხელვაჩაური სოფ. ქვ.სამება

საბანკო რეკვიზიტები:

ს.ს. „ თიბისი ბანკი"

ს/კ: 448387022

ბ/კ:TRCBGE22

ა/ა: GE72TB7309636080100000 2

ავთანდილ ტარაძე

(ხელმოწერა)

დანართი №3

ა(ა)იპ ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანების განთიადის საბავშვო ბაღის მე-3 ეტაპის სარემონტო სამუშაოები

პრეტენდენტის დასახელება: შპს „ნიკა"

№	სამუშაოს დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა		ღირებულება (ლარი)	
			განზომილების ერთეულიზე	საპროექტო მონაცემები	განზომილების ერთეულზე	საპროექტო მონაცემზე
1	პლასტმასის ტიხრების მოწყობა	კვ.მ.		24,5	105	2572,50
2	გათბობის ბოილერი დამონტაჟებით	ცალი		1	400	400,00
3	ელექტრო სისტემის რეაბილიტაცია	კომპლ.		1	84,81	84,81
	ლოკალირ-რესურსული უწყისის ჯამი:	ლარი				3057,31
	ზედნადები ხარჯები	ლარი		8%		244,58
	ჯამი	ლარი				3301,89
	გეგმიური დაგროვება	ლარი		6%		198,11
	სულ ხარჯთაღრიცხვით:	ლარი				3500,00

შ.პ.ს. „ნიკა" დირექტორი: ავთანდილ ხარაძე